

კომისიამ კერალდიკის საბჭოში წარსადგენად მხატვარ-კერალდიკოს მირიან კიკნაძის ნამუშევრები მოიწონა

„ალიონი“. 30 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დროშისა და



გერბის საუკეთესო საკონკურსო ნამუშევრის გამოსავლენად, საკრებულოში შექმნილმა კომისიამ 12 ავტორის მიერ წარმოდგენილი 24 ნამუშევარი განიხილა და კერალდიკის საბჭოში წარსადგენად საუკეთესოდ ცნო მხატვარ-კერალდიკოს მირიან კიკნაძის ნამუშევარი.

კიკნაძის მიერ შექმნილი გერბის ფარი იყოფა სამ ნაწილად:

I – მეწამულის (წითელ) ველზე მოტივტივე ვერცხლის „თამარის“ ჯვარი;

II – ზურმუხტის (მწვანე) ველზე ვერცხლის ხეზე ასული ოქროს ვაზი;

III – სევადის (შავ) ველზე ტალღოვანი ვერცხლის სარტყელი.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალაგანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი – „ოზურგეთი“.

დროშა ვერტიკალურადაა გაყოფილი ორ ნაწილად:

I ნაწილი წარმოადგენს მეწამულ (წითელ) ველს და უჭირავს დროშის სიგანის 1/25. ველზე გამოსახულია მოტივტივე ვერცხლის „თამარის“ ჯვარი.


II ნაწილი წარმოადგენს ზურმუხტის (მწვანე) ველს და უჭირავს დროშის სიგანის 1/2.

დროშის პროპორციაა 2:3.

მოწონებული ნამუშევარი იმავე დღეს გაიგზავნა კერალდიკის საბჭოში, სადაც

მას განიხილავენ და დასამტკიცებლად გადმოუგზავნიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

გახდება თუ არა კიკნაძე გამარჯვებული, მიღებენ თუ არა მის ნამუშევრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბად და დროშად, ეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე გამოჩნდება.



ალიონი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოცემა. №27 (10117), 6 ივლისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაცია ლიტვიდან დღეს დაბრუნდა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაცია დავით დარჩიას, დიმიტრი კვერელიძის, ვიორგი ლურჯუშვილის, ვია მამაკაიშვილისა და ნანა თავდუმაძის შემადგენლობით, საპასუხო ვიზიტით ლიტვაში ალიტუსის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა.

დელეგაცია ოზურგეთიდან 1 ივლისს გაემგზავრა და დღეს დაბრუნდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ნანა თავდუმაძის თქმით, ლიტველი დაქართველი კოლეგები ახორციელებენ პროექტს „სოციალური სერვისების მოდელის შემუშავება ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტებში“.

„ალიტუსელ კოლეგებთან ერთად, ვასორციელებთ პროექტს სოციალური სერვისების

მოდელის შემუშავება ოზურგეთისა და ალიტუსის მუნიციპალიტეტებში“. სწორედ ამ მიზნით ვიმყოფებოდით ნდლის განმავლობაში ლიტვაში, კერძოდ, ალიტუსში. საკმაოდ დატვირთული გრაფიკით ვიმუშავეთ, გავცანით ალიტუსის წარმომადგენლობითი თვითმმართველი ერთეულის საქმიანობას, ნოვაციებს; განახლდა ალიტუსისა და ოზურგეთის შორის ურთიერთთანამშრომლობის მეგობრანდობი, რომელსაც ხელი მოეწერა ოთხი წლის წინათ; შექმნა სხვადასხვა სფეროებში ურთიერთპარტნიორულ საწყისებზე დაფუძნებული სამომავლო სტრატეგია“, – კვითხრა ნანა თავდუმაძემ ცნობისათვის: პროექტის ფარგლებში ალიტუსის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ოზურგეთში 23-27 ივნისს იმყოფებოდა.



თავდიშვილმა პოლიციელებს სასამართლო პროცესი მოუგო, სირაძის საქმეს ქუთაისის სააკვლაციო სასამართლო განიხილავს



ნოდარ სირაძე

ადოკატმა პოლიციელი იმ ტექსტის უცოდინარობაში „გამოიჭირა“, რა ტექსტითაც პოლიციელმა დააკავებულ პირებს უნდა განუმარტოს თავიანთი უფლება-მოვალეობა



მამა თავდიშვილი მუხომანსა და მამოხე ზვილთაძე

თეიმურ მარშანიშვილი 24 მაისს, ქალაქ ოზურგეთში რესტორან „თამარიონთან“ დაკავებულმა ბექა თავდიშვილმა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში პოლიციელებს სასამართლო პროცესი მოუგო.

პოლიციის მხრიდან ხულიანობასა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით თავდიშვილის დაკავება სასამართლომ (მოსამართლე მარინა კიკნაძე) ბოლო 29 ივნისის პროცესზე უკანონოდ ცნო და არ დააკავოფილა პოლიციის არც ერთი მოთხოვნა. საქმე აღძრული იყო საქართველოს ადმინისტრაციული კანონის 166-ე და 173-ე მუხლებით.

ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელი ბექა თავდიშვილი და ყოფილი მე-9 არხის ყოფილი რეპორტიორი ნოდარ სირაძე 24 მაისს შსს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს მუშაკებმა, როგორც თვითონ აცხადებენ, ხულიანობისთვის დააკავეს, თუმცა, დაკავებულებს არ უთხრეს, რისთვის აკავებდნენ, არ გაცნეს, რა უფლება-მოვალეობები აქვს დაკავებულ მოქალაქეს.

მეტეც: წინა სასამართლო პროცესზე თავდიშვილის ადვოკატმა კანა ჩავლეიშვილმა პოლიციელი გიგა ხაბულიანი, რომელიც პოლიციის მხარეს წარმოადგენდა, იმ ტექსტს

უცოდინარობაში „გამოიჭირა“, რა ტექსტითაც პოლიციელმა დააკავებულ პირებს უნდა განუმარტოს თავიანთი უფლება-მოვალეობა. გიგა ხაბულიანის განმარტებით, 24 მაისს საღამოს ისინი რუსთაველის ქუჩაზე ატარებდნენ შემოვლას, როცა შეატყობინეს, რომ „თამარიონში“ ინციდენტი ჰქონდა ადგილი. ადგილზე მისულებს კი 10-15 პიროვნება დახვდათ, მათ შორის უმეტესობა ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში, ერთმანეთში კამათობდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბექა თავდიშვილი და ნოდარ სირაძე. წინადადებაზე – დაწინარებულოყვნენ და დაბრუნ-

ბოდნენ სუფრას (!), ჯერ უმისამართო გინება დაუწყიათ, შემდეგ უფრო აგრესიული გამხდარან და პოლიციელებისთვის მიუყენებიათ სიტყვიერი შეურაცხყოფა. პოლიციელები (გურამ სალუქვაძე, გიგა ხაბულიანი, ლაშა შარაშიძე და პაატა გვარჯალაძე) იძულებული გამხდარან, კიდევ ერთი ეკიპაჟი გამოეძახებინათ, თუმცა ამ ეკიპაჟის მოსვლამდე მათ უყონაღათ და მოუხერხებიათ თავდიშვილისა და სირაძის დაკავება.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გასსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან აღიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით
- საჯალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით - 12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

ოზურგეთის სოფლებში ახალი ტიპის გზები დაიგება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე სოფლებში ახალი საგზაო კონსტრუქციის გამოცდას იწყებს. ინოვაციური პროექტს „GEO-CELL“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში როული საგზაო მონაკვეთების, სკვერებისა და პარკების მოსაწყობად იყენებენ. მისი შესება შესაძლებელია ხრეთში, მიწით და ბეტონით.

„GEO-CELL“ დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში მოეწყო. ბადის ტიპის მოწყობილობა ე.წ. შებენის დამჭერ კონსტრუქციას წარმოადგენს. დამზადებულია უმაღლესი ხარისხის სინთეტიკური მასალით და წყლის მაღალი გამტარიანობით გამოირჩევა. „ვიწყებთ ახალი ტექნოლოგიის დანერგვას, რომელიც საქართვე-

ლოში სწორედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაიწყება. მინდა მაძლირობა გადავუხადო კომპანია „ვანრიკს“ გაწეული დახმარებისთვის. ამ ტექნოლოგიის უნიკალურობა გამოიხატება იმაში, რომ გამოიყენებ მეწყერსაშიშ ადგილებში, რაც მრავალადა ჩვენს მუნიციპალიტეტში, სხვა საშუალებებთან შედარებით, არის იაფი და მისი რენტაბელობის შემთხვევაში, სოფლებში შიდა გზების პრობლემის გადაწყვეტას შევძლებთ“,- განაცხადა მერაბ ჭანუყვაძემ.

გზის დაგების პროცესს გამგებელთან ერთად დაესწრო გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის დარგში - ბადრი გობრონიძე



ოზურგეთის უფასო სასადილოს შპს „მანიბა“ მოემსახურება

ალიონი. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველთა უფასო სასადილოს მომსახურებისთვის გამოცხადებულ ტენდერში შპს „მანიბა“ გაიმარჯვა.

გაზეთი „ალიონი“ დაუკავშირდა შპს „მანიბას“ დირექტორს, ქალბატონ თეონა ჯავახიშვილს:

- ქ. ოზურგეთის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ჩვენმა კომპანიამ გაიმარჯვა. სათავე ოფისი ქ. თბილისშია. ჩვენ ასეთი საქმიანობის იდეა გამოცდილება გვაქვს. ჩვენი კომპანია კვების საკითხებში ემსახურება სხვადასხვა ფსიქიატრულ საავადმყოფოს, სხვა დაწესებულებებს. ჩვენი კომპანია მუშაობს რუსეთში, ტყიბულში, წალენჯიხაში, ჯვარში, ქობულეთში. კომპანიის ერთ-ერთი შპს „ნიგოს 2009“ შს სისტემას ემსახურებოდა.

- მაინც რა პრობლემები დაგვხდათ ოზურგეთის მზრუნველობა-მოკლებულთა უფასო სასადილოში?

- ხვალ ქ. ოზურგეთის ვიცე-მერს შევხვდებით და უფრო ჩამოვყალიბდებით. ჩვენ ამ ეტაპზე საყოფაცხოვრებო მაცივარი ჩამოვიტანთ, რომელშიც ხორცპროდუქტები შეინახება. ქალაქის მერიის თანხმობის შემთხვევაში ვფიქრობთ პროდუქტების საწყობისთვის ფართის გამოყოფას.

ქალბატონი თეონა ჯავახიშვილის

თქმით, მათ ამჟამად სამთვიანი ხელშეკრულება ექნებათ ქ. ოზურგეთის მერიასთან. - გვაქვს საკმაო გამოცდილება, რომ სიახლეები შევიტანოთ ამ სასადილოს მუშაობაში. მაინც ქ. ოზურგეთის მერიის და საკრებულოს დამოკიდებულება იქნება მთავარი სიახლეების დასაწერად.

მომდევნო დღეს ქალბატონ თეონას და მის მენეჯერს ნატო მეფარიშვილს ოზურგეთის უფასო სასადილოში შეხვდით. ადგილზე ეცნობოდნენ არსებულ პრობლემებს.

- სურსათის უვნებლობის სამსახურის აზრი გვინტერესებს სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით. სამზარეულოს აუცილებლად სჭირდება რემონტი. დეზინფექცია ჩასატარებელი.

როგორც გავიგეთ, „მანიბას“ ხელმძღვანელს უფასო სასადილოში მომუშავე 6 თანამშრომლიდან 3 გაუთავისუფლებია. ჯავახიშვილის თქმით, უფასო სასადილოს 3 თანამშრომელი მოემსახურება, რაც საკმარისია. თუმცა, ჯერჯერობით მათთვის ხელფასის მომატებას არ გეგმავენ.

ერთ-ერთმა ბენეფიციარმა ანგელინა გვენეტაძემ გაზეთ „ალიონთან“ თავისი უკმაყოფილება გამოთქვა სასადილოში მიწოდებულ პურის ხარისხთან დაკავშირებით.



ოზურგეთში 100 მილიონი ლარის ინვესტიცია იგეგმება



სააქციო საზოგადოება „ICBT CORPORATION“-ის აღმასრულებელი დირექტორი, მერაბ დავითაძე გუბერნატორის მოადგილემ, ქეთევან მოისწრაფევილმა მიიღო. სააქციო საზოგადოება „ICBT CORPORATION“ პროექტის ფარგლებში - „შავი ზღვის მარგალიტი“ გურიაში 100 მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციას განახორციელებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გურიის რეგიონში 200-500 ჰა. მიწის ნაკვეთზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის) აგროსამრეწველო კომპლექსის მშენებლობა იგეგმება. პირველი საშუალო შეხვედრა

დღეს სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა. შეხვედრაზე სხვადასხვა სახის პროცედურული საკითხები განიხილეს; დასახეს სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც სამუშაო ვგუფები ერთმანეთთან აქტიურად ითანამშრომლებენ.

სამუშაო შეხვედრას „ICBT CORPORATION“-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები სოფლის მეურნეობის საკითხებში და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები დაესწრნენ.

ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს ნაგავგაშენი ახალი ავტომანქანები გადაეცათ



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 3 ნაგავშენი ავტომანქანა და 350 ნარჩენების შესაგროვებელი ლითონის ურნა გადასცა. ნაგავშენი ავტომანქანები და ნარჩენების ურნები შავი ზღვის, კერძოდ, ურეკის, შეკვეთილისა და გრიგოლითის სანაპირო-საკურორტო ზოლებსა და მიმდებარე სოფლებს მოემსახურება. ორი ნაგავშენი და 150 ახალი მოდიფიკაციის ნარჩენების შესაგროვებელი ურნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გადაეცა. ოზურგეთის კუთვნილი ერთი ნაგავშენი სეზონზე კურორტ ბახმაროს მოემსახურება.

გიორგი შუზოშვილი, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიის მხარეში ვია სალუქვაძე, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლები მერაბ ჭანუყვაძე, ზაზა ურუშაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. დასუფთავების ახალი მანქანები საკურორტო ზონებიდან მყარ ნარჩენებს დღეში 3-ჯერ გაიტანს.

აღნიშნული მანქანები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მთავრობის განკარგულების საფუძველზე შეიძინა. მანქანებისა და ურნების გადაცემის პროცესს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი გიორგი ცინცაძე, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორი

- გურიას 5 ერთეული ნაგავშენი მანქანა და ნარჩენების შესაგროვებელი 500 ერთეული რკინის ურნა გადმოეცა, რომელიც შავი ზღვის სანაპირო-საკურორტო ზოლს მოემსახურება. უახლოეს პერიოდში ჩვენ ზღვის სანაპიროს გამწმენდ სპეციალურ მანქანას ველოდებით; ამით, ფაქტობრივად, ის უმძიმესი პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში ამ სანაპიროზე იყო, გადაჭრილი იქნება. ნაგავსაყრელი ძალიან მალე გაუქმდება და სხვაგან გადაინაცვლებს; ეს ტერიტორია ეკოლოგიურად სუფთა და მოწესრიგებული იქნება, - განაცხადა ჟურნალისტიკითან ვია სალუქვაძემ.

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე
«ალიონით»

თავდიშვილმა პოლიციელებს სასამართლო პროცესი მოუპო, სირაძის საქმეს ქუთაისის სააკელაციო სასამართლო განიხილავს

ობს შესაბამისი ვიდეორანაწერი, მაგრამ ბექა თავდიშვილის მეუღლის მიერ ტელეფონზე ჩაწერილი 4 პოლიციელებისა და 15-მდე პირების ინციდენტის ნაწილი აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს იძლევა. კადრებში კარგად ჩანს თუ როგორ ძალადობს პოლიცია არა მარტო თავდიშვილსა და სირაძეზე, არამედ მათ თანმხლებ პირებზე, რომლებიც ცდილობდნენ გაეგოთ, თუ რატომ მიჰყავდათ თავდიშვილი და სირაძე პოლიციაში. პოლიციის ამგვარი ქმედების შედეგად სხეულის სერიოზული დაზიანება მიიღო ხუთმა თუ ექვსმა ადამიანმა, მათ შორის თავდიშვილის მეუღლე.

პოლიციელებიდან განსაკუთრებული აგრესიულობით გურამ სალუქვაძე გამოირჩეოდა. თვითმხილველთა თქმით, სწორედ ის დაემუქრა ბექა თავდიშვილს, კაცი არ ვიყო, თუ სამსახური არ დაგატოვებინო, სწორედ ის გაჰყვიროდა, თქვენ აქ ხმის ამოდებას როგორ ბედავთ, „თამარიონს“ მე „ვკრიშავო“.

სხვათა შორის, ბექა თავდიშვილს სასამართლო პროცესზე არ დაუბოლავს, რომ გურამ სალუქვაძის მისი პირადი ინტერესი ჰქონდა, თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, რა და რატომ.

როგორც თავდიშვილის ადვოკატმა კახა ჩავლეიშვილმა განაცხადა, აშკარად არაადეკვატურია პოლიციელთა ქმედება:

ჯერ ერთი, ცოტა უცნაურია, კაცი ხულიგნობდეს და პოლიციელი რესტორანში დაბრუნებას ურჩევდეს.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, შვილების, მეუღლისა და თანამესუფრეების თვალწინ დააკავეს ისე, რომ არ უთხრეს, რა იყო დაკავების მიზეზი, დაკავების შემდეგ კი არ განუმარტეს თავისი უფლებები. მივრალი იყო და ვერ გაიგებდით, ეს რა მოტივია?!

ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ქმარი რომ ცოლს არ უჯერებს და სახლში არ მიყვება, მანქანის საჭესთან ჯდებოდა თუ არ ჯდებოდა, — ეს არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სასჯელს. მოწმეთა ჩვენებებით, სხვა იქ არაფერი მომხდარა. ამიტომაც შეწყვიტა სასამართლომ ადმინისტრაციული საქმის წარმოება და თავდიშვილისადმი პოლიციის მხრიდან წაყენებული პრეტენზიები უარყო. სასამართლომ დადასტურა ჩვენი მტკიცებულება, რომ ადგილი არ ჰქონია ხულიგნობის ფაქტს და აუცილებლობას არ წარმოადგენდა თავდიშვილის დაკავება. არც პოლიციისათვის გაუწევია ვინმეს წინააღმდეგობა. პოლიციელთა მხრიდან დაკავებულებზე არასათანადო მოპყრობა კი დადასტურდა. აშკარად დარღვეული იყო დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებული პროცედურები და, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაკავება იყო უსაფუძვლო და უკანონო.

მოწმეებმა პოლიციელთა დარღვევების შესახებ სასამართლო პროცესზე იმდენი განცხადება გააკეთეს, რომ ამდენ ხანში ამ საქმით გენერე-

ლური ინსპექციაც უნდა დაინტერესებულიყო, — გვითხრა ჩავლეიშვილმა.

სასამართლოს მიერ გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანის მიუხედავად, ბექა თავდიშვილი მაინც დაზარალებული რჩება, რადგან პოლიციელ გურამ სალუქვაძის მუქარა სისრულეში მოიყვანა სახანძრო-სამაშველო სამსახურმა, რომელმაც თოხი შვილის მამას ვადამდე რამდენიმე დღით ადრე და სასამართლო პროცესის დამთავრებამდე შეუწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

რაც შეეხება ყოფილი მე-9 არხის ყოფილი რეპორტიორის ნოდარ სირაძის საქმეს, მას უახლოეს მომავალში ქუთაისის სააკელაციო სასამართლო განიხილავს. როგორც ჩვენი გაზეითის 8 ივნისის ნომერში ვიუწყებოდით, სირაძეს ბიძის (ბექა თავდიშვილის) გამოქომაგების გამო, პოლიციელები ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ, როგორც „თამარიონში“, ისე პოლიციაში გადაყვანის შემდეგ. მეორე დღეს, უფრო სწორად დაკავებიდან 18 საათის შემდეგ ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გადაიყვანეს, სადაც 300-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა დააკისრეს. სირაძემ, რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობს, ქუთაისის სააკელაციო სასამართლოს მიმართა.

ნოდარ სირაძის ამ საქმიდან ჩანს, რომ საქართველოში ექსპორტად მხოლოდ ლექსები არ იწერება, სასამართლო გადაწყვეტილებებიც მიიღება, თორემ დაკავებულს პოლი-

ციაც ნებას დართავდა რომ ადვოკატი აეყვანა, მოსამართლე კი ერთხელ მაინც შეეკითხებოდა, დაიცავდა თუ არა თავს დამოუკიდებლად.

სირაძის საკასაციო სარჩელს ქუთაისის სააკელაციო სასამართლო უახლოეს პერიოდში განიხილავს.

P.S არაგვის დაჭერის ან უსამსახუროდ დარჩენის მომხრე არ ვართ, მაგრამ თუ კანონი კანონობს და მის წინაშე ყველა ერთნაირად აგებს პასუხს, მაშინ პოლიციელების — გურამ სალუქვაძის, გიგა ხაბუღიანის, ლაშა შარაშიძის და პაატა გვარჯალაძის ასე „მშრალზე“ დატოვება გაუპრობებელია, მით უმეტეს, ჩინის გაზრდა და დაწინაურება (ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სალუქვაძეს დაწინაურებას უპირებენ), მინიმუმ საყვედური მაინც ხომ უნდა გამოუცხადონ. და თუ ეს ასე მოხდება, ამის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს საზოგადოებას. მერე რა, რომ პოლიციელებია.

რაც შეეხება „თამარიონს“: მართალია, აქ ვიდეოთვალის ჩანაწერები მხოლოდ ერთ კვირას ინახება, მაგრამ როცა ინციდენტი მოხდა და მეორე დღეს თხოვეს ჩანაწერის შენახვა, იგი არ უნდა გადაეშალა. ამით რესტორნის ხელმძღვანელობამ აშკარად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ კონკრეტული საქმისადმი — გურამ სალუქვაძის დედა „თამარიონის“ მენეჯერია და მენეჯერის შვილს ხომ არ „ჩაუშვებდა“.

მაკვანეთში აბილაყვას ხეობის ერთკილომეტრიანი გოლი ბაინშიწაბა

ალიონი. სოფელ მაკვანეთში მდინარე ავღაყვას ხეობის ერთკილომეტრიანი ზოლის ჩახურვლი ხეობისგან გაწმენდის აუცილებლობის საკითხი, სოფლის მყოფრიტარმა ნუგზარ კალანდარიშვილმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 ივლისის სხდომაზე დააყენა:

„13 ივნისის მსგეობა ტრავმულია და უბედურება ღმერთმა ყველას გავშროს, მაგრამ თუ მდინარე ავღაყვას ხეობაში პროფილაქტიკური ღონისძიებები არ ჩატარდა, კრიზისი, თუ მისი მინიმუმ ერთკილომეტრიანი ზოლი ჩახურვლი ხეობისგან არ გაწმენდა, შესაძლებელია, ადგილობრივი მდინარე კალანდარიშვილისგან და სოფელი სერიოზულად დაზარალოს. ასეთი შემთხვევა მაკვანეთში 10-15 წლის წინათ იყო კიდევ ვიცი, რომ ანალოგიური მდგომარეობა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში, სხვა მდინარეების ხეობებშიც. მესმის, ამ ხეობების გაწმენდა სოლიდურ ფინანსებს მოითხოვს, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე ხელისუფლებას არ გააჩნია. ამიტომ შემომავსებ წინადადებას, დავთხოვ საკითხი სატყეო სამსახურის წინაშე, რათა მოსახლეობას მიეცეს ნებართვა ხეობებში ჩახურვლი ხეტყე დაამუშავოს და საშუალო მასალა გამოიყენოს. ამით ხეობაც გაწმენდება, მოსახლეობა წყალდიდობასაც თავიდან ავიშორებთ და მოსახლეობაც გარკვეულწილად უზრუნველყოფილი იქნება შემთხვევათა კალანდარიშვილმა.“

საკრებულოს ხელმძღვანელობამ და წევრებმა მიიწინეს მაკვანეთში დეპუტატის წინადადება და განაცხადეს, რომ ამ საკითხზე აუცილებლად მიმართვენ სატყეო სამსახურს.

ოგურგეთის საკრებულოს სხდომაში პირდაპირ ეთერში ბალანსი

„ალიონი“. მალე ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაში პირდაპირ ეთერში გადაიყვანა „ონლაინ“ პორტალის საშუალებით.

ამის შესახებ საკრებულოს 1 ივლისის სხდომაზე განცხადება გააკეთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერციანი:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო პირველი იქნება საქართველოში, რომლის სხდომების გადაცემა პირდაპირ ეთერში. სექტემბრიდან მოსახლეობას შეეძლება, „ონლაინ“ პორტალის საშუალებით, თვალის ადევნოს საკრებულოს სხდომებს.“

საქმე ისაა, რომ დღეიდან, ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ იწყებს განხორციელებას პროექტისა „მართე სახლიდან“, რომლის მიზანია ადგილობრივ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტის ძირითადი საქმიანობა მიმართული იქნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ელექტრონული მმართველობის თანამედროვე პრინციპების დანერგვისაკენ.

პროექტის მოსამზადებელ ფაზაში „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ თანამშრომლებმა კონსულტაციები გათარეს ჩვენთან. მუნიციპალიტეტის ბუფეტლიდან გამოიყოფა 3 ათასი ლარი, რომელიც მიხმარდება საჭირო მოწყობილობების შექმნას, რათა ხელი შეეწყოს საკრებულოს სხდომების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას „ონლაინ“ პორტალის საშუალებით; — განაცხადა კვერციანი.

ცვლილებები ოგურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 ივლისის სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში.

შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი სულ 1 819 000 ლარით გაიზარდა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის №1132 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ანგერის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 50,0 ათასი ლარი.

გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 319 000 ლარით, კრძოლ: საწარმოთა ქონების გადასახადიდან — 160 000 ლარით; მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის მოსაკრებელიდან — 50 000 ლარით; შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან — 31 000 ლარით; შემოსავ-

ალი მიწის გაყიდვიდან — 58 000 ლარით; შემოსავალი ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან — 18 000 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2014-2015 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 1 450 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ანგერის №39 განკარგულებაში ცვლილებების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუძლია დაფინანსება 285 455 ათასი ლარით. მათ შორის: პროექტი გათვალისწინებული საშუალების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა — 215 755 ლარით; საპროექტო

ლოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა — 69.7 ათასი ლარით;

შესაბამისად შექმნიდა საბიუჯეტო კლასიფიკაციაში: ა) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები — 215.755 ათასი ლარით; საინჟინერო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სასარგებლო რესურსების და ექსპერტიზის თანხა — 69.7 ათასი ლარით;

შემკირდა: გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი — 6,0 ათასი ლარით; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი — 0,4 ათასი ლარით.

გაიზარდა: ე) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები — 50,0 ათასი ლარით; ე) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საცხოვრებელი შენობები — 138,0 ათასი ლარით; ზ) გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, 18,3 ათასი ლარით; თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების დაფინანსება — 25,0 ათასი ლარით; ი) კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები სუბსიდიის ნაწილში — 90,0 ათასი ლარით;

კ) შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა სოციალური დანხარების ნაწილში — 30,0 ათასი ლარით; ლ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა მანქანა-დანადგარები

და ინვენტარის შექმნა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული — 3,0 ათასი ლარით მ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შექმნა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული — 1,6 ათასი ლარით; ნ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა, კომპიუტერის შექმნა — 2,4 ათასი ლარით; ო) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპიუტერული ტექნიკა — 5,0 ათასი ლარით; პ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯები — 5,0 ათასი ლარით; ჟ) სკოლაში განათლების დაფინანსება სუბსიდიების ნაწილში — 0,7 ათასი ლარით; რ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა — 6,0 ათასი ლარით; ს) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავ-საპრობი მასალების შექმნის ხარჯი — 0,4 ათასი ლარით; ტ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების ნაწილში — 1450,0 ათასი ლარით.

სხდომაზე განიხილეს კიდევ ორი საკითხი: ცვლილებები და დამატებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 19 ნოემბრის №86 განკარგულებაში; დამტკიცეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეის და სოფელ ნატანების (შეკვეთილი) ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავი-ზღვისპირა პლაჟზე ბაზირების პუნქტების განსაზღვრის შესახებ“

მერაბ ჭანუყვაძე: 100-პროცენტით გრანტის მიღება აბიტურიენტებს 3 000 ლარს გადასცემთ



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა. როგორც ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა 100-პროცენტით გრანტის მიღება აბიტურიენტებს მუნიციპალიტეტის გამგებმა საჩუქრად 3 000 ლარს, ხოლო აღმზრდელ სკოლას 1 000 ლარს გადასცემს. განათლების წახალისების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამით 2015 წლის ბიუჯეტში 50 ათასი ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 100-პროცენტით გრანტის მიმღებ აბიტურიენტებს მონხმარდება. 2015 წლის 2 ივლისს საგამოცდო პროცესი ერთიანი ეროვნული გამოცდებით დაიწყო. აბიტურიენტებმა რეგისტრაცია 08.00 საათზე 19 საგამოცდო ცენტრში ერთდროულად გაიარეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდები №2 საჯარო სკოლაში ტარდება.

ომურგეთში სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულებმა წარმატებით გადალახეს ეროვნული გამოცდების პირველი ეტაპი



ალიონი. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის ოთხმა კურსდამთავრებულმა წარმატებით გადალახა ეროვნული გამოცდების პირველი ეტაპი.

ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ლიდიცეს ბავშვთა საერთაშორისო გამოფენის გამარჯვებულმა ნინო გორდელაძემ და რესპუბლიკურ გამოფენის პრიზიორმა ნათია დიდიამ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაბარეს პირველი გამოცდა. რესპუბლიკური გამოფენის მე-2 პრიზიორმა თამაზ ანდლოლაძემ და ასევე წარმატებულმა მხატვარმა ირაკლი დარჩიამ (მონაწილეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის გერბისა და დროშის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში) ასევე წარმატებით გადალახეს ეროვნული გამოცდების პირველი ეტაპი. ისინი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის სპეციალობაზე

აბარებენ გამოცდებს.

კახა ვასაძე, სამხატვრო სკოლის დირექტორი: - წლებულს რამდენიმე ღონისძიება მოვაწყვეთ: გამოფენა „ზამთრის ვერნისაჟი“, მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო გამოფენა „ლიდიცე 2015-ში(იქ 16 ნამუშევარი გაიგზავნა თქვენ „მუქა“); „პასქის ფესტივალში“; გურიის აგრობიზნესცენტრის პროექტში „ოჯახი ძალადობის გარეშე“ სტუდენტურ-ასალგაზრდული სათათბიროს „ვეროკლუსის“ ღონისძიებაში - „ვეროპის დღე“, „მუხუჟის დღე“ ქ. ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახურის ღონისძიებაში „ჩემი ოჯახი“ და ა.შ. ვმონაწილეობთ ოზურგეთის ისტორიული მუხუჟის პროექტში „ვერები წარსულს, რათა დავინახო მომავალი“ მიუწყო სამხატვრო სკოლის მეექვსე კლასელის ბექა ხინთიბიძის პერსონალური გამოფენა, ხოლო 1 ივნისს გაიმართა მე-9 კლასელთა ტრადიციული გამოფენა.

წლებულს სხვადასხვა ნომინაციებში გაიმარჯვეს მე-9 კლასელმა: გიორგი კონტრინიძე, შალვა ჩაველიძე, ნონა ბურჭულაძე, ელენე იმეკირველი, ქეთევან გიორგაძე. სხვადასხვა ნომინაციებში ასევე გაიმარჯვეს ასევე ელენე ნიკოლაიშვილი (პირველი კლასი), ნუცა ლლონტაძე (მე-4 კლასი), ნინო ჩხაიძე (მე-3 კლასი), საბა ვეგინიძე (პირველი კლასი), მიხეილ თავებრიძე (კურსდამთავრებული).

მინდა, მადლობა მინდა ვუთხრა ქ. ოზურგეთის მერიას აღნიშნული ღონისძიებების მხარდაჭერისათვის.

შავი გღვის პირველობაზე აღკვეთა



ალიონი. 25-27 ივნისს ქ. ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჩატარდა შავი ზღვის ღია პირველობა აღბავუტში (სრული კონტაქტური კარატე). აღმოსავლური ორთაბრძოლის (აზერბაიჯანული ვარიანტი) შედის კონტაქტური კარატე, - K-1 კიბოქაიანი, M-1 ბრძოლა წესების გარეშე. ოზურგეთში ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის და ირანის ნაკრები გუნდები. საქართველოდან გურიის აღბავუტის ფედერაცია მონაწილეობდა ამ ტურნირში.

25 ივნისს მოეწყო ტურნირის გახსნა და ჩატარდა სემინარი, ხოლო 27 ივნისს გაიმართა ორთაბრძოლა.

უნდა აღინიშნოს აღბავუტის მსოფლიო ფედერაციამ (ვისივ ნამაზოვი) ყველაფერი გააკეთა, რომ ტურნირზე არ ყოფილიყო ტრამეები. ამისთვის მათ ჰქონდათ სათანადო დამცავი ტექნიკური აღჭურვილობა და მსაჯებიც ყველა წესებს იცავდნენ.

ნენ მოსალოდნელი ტრავმების აღკვეთა. ბუნებრივად, ამოავარი ბრძოლები აზერბაიჯანულ და ირანულ ვაჟ და ქალ სპორტსმენებს შორის გაიმართა, სადაც თითოეულ გამარჯვებულს თან ახლდა მათი ეროვნული დროშებით საპატიო წრე საბრძოლო ხალხის გარშემო და თანაგუნდელთა ოჯახები.

მოუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღბავუტი - აღმოსავლური ბრძოლის ეს სახეობა ახლა იკიდებს ფეხს, ოზურგეთელ სპორტსმენებს თავი არ შეურცხვენინან და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მთკონტაქტურ კარატეში სხვადასხვა წონით კატეგორიაში 7 პირველი ადგილი დაიკავეს. ესენი არიან: გიორგი ჩანქვლიანი (4 წ. 20 კგ); ლუბა დანელია, (12 წ. 30 კგ); მარი იმეკირველი (15 წ. 45 კგ), ლუკა გუგაბიძე (12 წ. 35 კგ), საბა ძიძიშვილი (12 წ. 45 კგ) - ყველა აღბავუტის გურიის ფედერაციის პრეზიდენტის ირაკლი ტულუშის მოსწავლეები; გარდა ამისა ამ ტურნირზე წარმატებით გამოვიდა ქობულეთელი ნუკრი ბერიძე (შეწერ. თენგიფა დავითაძე) რომელმაც ორი პირველი ადგილი დაიკავა: კონტაქტურ კარატეში და -1-ში.

ლამაზი იყო დავიდლოების ცერემონიალიც. აღბავუტის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტს ვასივ ნამაზოვის ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირისათვის შესაფერისი მედლები და სხვა პრინციპი ჰქონდა დამზადებული. ოზურგეთის სპორტის სასახლის დარბაზში ტურნირში მონაწილე სამივე ქვეყნის ჰიმნი შესრულეს.

უნდა აღინიშნოს, ასეთი ტურნირი ოზურგეთში მეორედ ჩატარდა. მარშან ამ ტურნირში აზერბაიჯანი, რუსეთი და საქართველო მონაწილეობდა.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო

სალომე თოხაძე



2 ივლისს, ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში გურიის რეგიონის აბიტურიენტებმა ეროვნული გამოცდების ჩაბარება დაიწყეს. პირველი გამოცდა ქართულ ენა და ლიტერატურაში იყო.

ჩვენ გამოცდის შემდეგ რამდენიმე აბიტურიენტს გაეცხადებოდა:

მარი მარშანიშვილი: ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა დავამთავრე. მათემატიკურზე ვაბარებ. ეროვნული გამოცდებისთვის სათანადოდ მოვემზადე. კმაყოფილი ვარ პირველ გამოცდაზე ჩემი ნამუშევრით;

ქეთი მარშანიშვილი: მარი ჩემი ბიძაშვილია. მე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩოჩხათის

საჯარო სკოლა დავამთავრე. ისტორიულზე ვაბარებ. ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყნის ისტორია;

მაია ართაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი: ტურიზმზე ვაბარებ. პერსპექტიული დარგია, მინდა კარგი მენეჯერი გამოვიდე. ვიცი, ამ სპეციალობით სამუშაო ადგილის შოვნა ძნელი არ იქნება;

მარი ჭანტურიშვილი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. აკეთის საჯარო სკოლა დავამთავრე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში მინდა მოხვედრა სამართლის ფაკულტეტზე. ქართულ ენა და ლიტერატურაში თავისუფალი თემს დავწერე ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით. დღეს ძალიან აქტუალური თემაა და მას მგონი თავი კარგად გავართავი.

სალომე თოხაძე: -აკეთის საჯარო სკოლა დავამთავრე, ვაბარებ ბიოლოგიურზე;

გიორგი ცინცაძე, სოფ. აკეთი- კარგად მოემზადე გამოცდებისთვის და პირველი გამოცდაც დავწერე; საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე მინდა მოხვედრა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში;

საბა წულაძე, სოფ. აკეთი. ძალიან მიყვარს კომპიუტერული ტექნიკა. ამიტომ ვაბარებ პროგრამების მართვის სპეციალობაზე. პირველი გამოცდით კმაყოფილი ვარ. ყველა აბიტურიენტს ვუსურვებ წარმატებებს.

თორნიკე ხვედელიძის მემორიალური საზღაპრო ტურნირი მესამედ გაიმართა

ალიონი. ოზურგეთის საჯარო კლუბში სამ დღეს მიმდინარეობდა გურიის რეგიონის ყოფილი ჩემპიონის, სპორტის ოსტატის, ტრადიციულად დაღუპული, ბიზნესმენ თორნიკე ხვედელიძის მესამე მემორიალური ტურნირი, რომელშიც რეგიონის 14 წამყვანი მოჭადრაკე დასწრეობდა მონაწილეობას.

ტურნირი გახსნა ღონისძიების ორგანიზატორმა ზურაბ ანდლოლაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა ბატონი თორნიკეს პირველ ღირსებებზე და მის სპორტულ მიღწევებზე. აღინიშნა, რომ თორნიკეს მოსწავლეთა შორის ყველა ასაკში ჰქონდა მოგებული რაიონის და რეგიონის პირველობები. დიდი წარმატებებით გამოდიოდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო მნიშვნელობის შეჯიბრებებში, (შვედონელი მზია წყურეთელი). ორჯერ იყო მოსწავლეთა (12 და 14 წლამდე ასაკში) შორის ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი. 1997 და 1998 წელს ქობულეთის საერთაშორისო საჯარო ფესტივალზე შესაბამისად პირველი და მეორე ადგილი აიღო. 1999 და 2000 წელს ზღვი-ზედ მოიგო რაიონის ჩემპიონატი დიდებში, ხოლო 2000 წელს, 16 წლისამ, მაღალი კონკურენტის პირობებში, ოზურგეთიდან პირველმა, მივიღ გურიის რეგიონალური ჩემპიონატი. ამავე წელს იგი შეყვანილი იქნა საქართველოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ნაკრებში და წარმატებით აასპარეზა იალტაში გამართულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე . იმ პერიოდში, როცა მოჭადრაკეებს ძალიან უჭირდა და მნიშვნელოვან შეჯიბრებებში მონაწილეობა თითქმის შეუძლებელი გახდა, თორნიკე ბიზნესში გადავიდა და ჭადრაკს პრაქტიკულად ჩამოშორდა. ახალგაზრდა დაოჯახდა. მისი ვაჟიდან ერთერთი სპორტის გზას დაადგა და საქართველოს მოსწავლეთა საკალათბურთო ნაკრებშიც დაიმიკვირა ადგილი.

თორნიკემ, ათწლიანი საჭადრაკო პაუზის შემდეგ (გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე), გურიის გუნდურ საჭადრაკო პირველობაზე, ოზურგეთის სახელით აასპარეზა და მის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა. ეს იყო გურულ მოჭადრაკეთან მისი ბოლო შეხვედრა, რომლის დროსაც მან თავი განსაკუთრებულად დავამახსოვრა, როგორც დიდბურთვანმა, კაცურ-კაცობით და კეთილშობილებით სავსე პიროვნებამ.

ფედერაციის სახელით, ზანდლოლაძემ კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით, რომლის გადაწყვეტილებით ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მოჭადრაკე თორნიკე ხვედელიძის სახელი მიენიჭა.

საკუთრივ მემორიალური ტურნირი, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, ძალზე საინტერესოდ წარიმართა. დასაწყისშივე გამოიკვეთა 7-8 მოჭადრაკე, რომლებსაც რეალური შანსი ჰქონდათ საპრიზო ადგილებზე მოსახვედრად.

საბოლოოდ 11 ქულით (13 შესაძლებლობიდან) პირველ ადგილზე გავიდა გიორგი გოგოლაური, მას



ნახევარი ქულით ჩამორჩა და ერთნაირი ქულით დაუგროვდათ ელგუჯა ურუშაძეს და ლანჩხუთელ ტარიელ ზუზუნაშვილს. ლეზელის თანახმად, მათ შორის გამართა მინი მატჩი, მეორე ადგილის დასაკავებლად, რომელიც 2-0 ელგუჯა ურუშაძემ მოიგო, ხოლო მეოთხეზე 10 ქულით გივი სიამაშვილი გავიდა, 8,5 ქულით, კი მეხუთე ადგილი ჩოხატაურელ კარლო ცხომელიძეს ერგო. გურიის საზღვის ჩემპიონი, ნუგზარ გვარჯაღაძე, აჭკერად მოკრძალებული შედეგით მივიდა ფინალში და 7,5 ქულა მხოლოდ მე-9 ადგილისთვის გახდა საკმარისი. კარგად ითამაშა ვეშაპაძემ, რომელმაც 7 ქულა დააგროვა და საპატიო მე-7 ადგილზე გავიდა.

მნიშვნელოვან ფაქტად შეიძლება ჩავთვალოდ ტურნირში თორნიკეს თათბის მოჭადრაკის და მეგობრის, ოსტატობის კანდიდატის ნინო წიტიანიშვილის მონაწილეობა, რომელიც თავის დროზე ვეროპის ვიცე-ჩემპიონის ტიტულს ფლობდა 14-წლამდე ასაკის ვოგონათა შორის. 15-წლიანი შესწავლის შემდეგ მან პრაქტიკულად პირველად ითამაშა და რომ არა ცაიტნოტით დაკარგული რამდენიმე ქულა, საპრიზო ადგილზეც ეწებოდა პრეტენზია.

ღონისძიება ხალხმრავალ ვითარებაში დაიხურა. წარმატებულ მოჭადრაკეებს სპეციალური დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა. გამარჯვებულ გიორგი გოგოლაურს გადაეცა ასევე თასი, რომელიც გურიის ოლიმპიურმა კომიტეტის თავმჯდომარემ ლამა ლომაძემ დააწესა. ნინო წიტიანიშვილმა ღვთისმშობლის ხატით დასაწყობდა თორნიკეს ვაჟი. ჩემპიონატის ორგანიზატორებს და მონაწილეებს სამადლობელი სიტყვებით მიმართა წმინდის საბრძოლო სკოლის დირექტორის მოადგილემ მამა ბასილიძემ (გოგოტიშვილი), რომელიც ბავშვობაში თორნიკესთან ერთად თამაშობდა

ჭადრაკს. თორნიკეს მამა, ელგუჯა ხვედელიძემ კლუბს გადასცა ანტიკვარული სტილის საჭადრაკო სათი, რომელსაც თორნიკე ბავშვობის ასაკიდან იყენებდა.

სსრკ

გერონტი მორჩილაძის ბახსენება



ვფიქრობ, როგორ დავწერო შენი მოსაგონარი, ვფიქრობ...

მიყვარხარ, მიყვარხარ უსამანო სიყვარულით!

ჩვენ 37 წელი მოვდიოდით ჩვენი საკალი გზის ჩვენებურ ბილიკზე. ამ ხნის განმავლობაში იყო ბევრი სიხარული, სევდა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვიგონია, შენი გული იტყვდა მშობლის, ნათესავების, დედამამიშვილების, შვილების, ცოლის, მეგობრების, მეზობლების დიდ სიყვარულს.

ჩვენ, მრავალ სხვის შვილთან ერთად, აღზარდეთ ჩვენი სამი ვაჟკაცი. მადლობელი

ვარ ჩვენი შვილებისა და რძლებისა, რომლებმაც გული არ ვკატინეს, მამისეული ბევრი კარგი თვისება შემოუნახეს შვილებს. შენ კარგი მამა და კარგი მეოჯახე იყავი, კარგი შვილიშვილები გაგიზარდეს ბიჭებმა, ექვსივე შენს თავს იფიცებს და ეს ფიცი ყველაზე სანდო ფიცი.

20 წელია, რაც გარდაიცვალე. ეს არც ისე პატარა დროა. ჩვენ შევეგუეთ შენს აქეთ არყოფნას, ასეთი ყოფილა ცხოვრება.

შენ იყავი კაცი, ვისაც ენდობოდნენ, ვისიც სჯეროდათ, ვისგანაც სწავლობდნენ მეცნიერებას, სიკეთეს, სიყვარულს, ურთიერთობას, მოვალეობას. შენ იყავი ადამიანი, ვინც კეთილსინდისიერად გაუსწორა მზერა მომავალს. მადლობელი ვარ აღმოჩენათა სიხარულისათვის, უსამანო სიყვარულისათვის, ზრუნვისათვის, შრომისათვის, გულისხმიერებისათვის, ყოველდღიური გამძლეობისათვის, მიმტკეველობისათვის და შენი ჭეშმარიტად ლამაზი ხედვისათვის.

მადლობა შენ, რომ არსებობდი!

შენი მამა და იყავი.

ცაცა ქიქოძის მოსაგონარი



სიკვდილი სულაც არ ნიშნავს სასურულს... შესაძლოა ცოცხლობდე, დედამიწაზე დააბიჯებდე და შენი არსებობა არც არავის ახსოვდეს, შესაძლოა ზეციური საუფლოს ბინადარი გახდე და ქვეყნადმყოფთა მეხსიერებაში ცოცხალიყო არსებობდე. სწორედ ასეთი სიცოცხლეა ფასეული... ცაცა ქიქოძემ ისე იცხოვრა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ნამდვილად დავრჩით ერთი ნაკლებნი, მისი ხსოვნა ასეულობით აღზრდილის გულებში ჩაუქრობელ ლამაზად ანთია, კოლეგებსა და მეგობრებს შეუვსებელი დანაკლისის განცდა არ ტოვებს წამით.

ცაცა ქიქოძე სამ ათეულ წელზე მეტ

ხანს გახლდათ ოზურგეთის რაიონის ბახვის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, გამორჩეული მექართულე, მკვერმეტყველი, დიდებული გვარის დიდებული წარმომადგენელი კარგად ახსოვს ოზურგეთის პედაგოგიურ საზოგადოებას. მისი ღვაწლი დაუვიწყარია, სიამოვნებით ვისვენებთ მასთან ბოლო შეხვედრის ეპიზოდებს. ოზურგეთის პროფკავშირის რაიონულმა ორგანიზაციამ, სკოლის დირექციასთან ერთად, მასწავლებელთა საერთაშორისო დღე მიულოცეთ, სახლში ვინახულეთ ამგდარი პედაგოგი. საოცრად ბედნიერი და მკვერი იყო იმ დღეს!

გარდაცვალების შემდეგ უფრო ედება ფასი ადამიანს. ცაცა ქიქოძე მარად დაუვიწყართა დიდებულ არმიას შეუერთდა. მისი ცხოვრებით კი ჩვენ კიდევ ერთი გაკეთილი ჩავკითხავთ, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მოძღვარი, მოქალაქე, მეგობარი...

ორმოცი დღეც ტკივილსა და მონატრებაში გაილია. გვაკლიხარ, გვტკივა უშენობა, გვენატრები და კვლავინდებურად გვიყვარხარ, ცაცა მასწავლებელი!

ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ოზურგეთის განათლების პროფკავშირის მიერ

ეთერ ლომინაძე



ფაქიზი, მუდამ მოწესრიგებული, საკუთარი თავისა და აღსაზრდელების მიმართ მომთხოვნი, კოლეგებთან თბილი, მოფუსფუსე ოჯახსა თუ სკოლაში, მუდმივად დასაქმებული, ყურადღებიანი - ასეთად შემორჩა ჩვენს ცნობიერებაში ღვაწლმოსილი ქალბატონი, ჭეშმარიტი პედაგოგი ეთერ ლომინაძე.

იგი დაიბადა 1916 წელს, სოფელ შემოქმედში. აქვე მიიღო დაწყებითი, ხოლო

ოზურგეთის პირველ სკოლაში საშუალო განათლება. შემდეგ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1938 წლიდან პენსიაში გასვლამდე იღვაწა შემოქმედის საშუალო სკოლაში. ხუთ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ქალბატონმა ეთერმა მთელი თავისი ცხოვრება ოჯახის ინტერესსა და ძმის-შვილების აღზრდას, საზოგადოებისათვის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას მიახმარა.

წავიდა ჩვენგან შემოქმედელთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი. ალბათ, ეთერისნაირ ადამიანებზე ითქმის მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი შვილის მშობელი.

ეთერ ლომინაძის საჯარო სკოლა, პედაგოგთა პროფესიული კავშირი.

ნინო კუსლოვი



ორმოცი დღე გავიდა უკვე, რაც შენი ნათელი სული ზეცად ამაღლდა და მარადისობას შეუერთდა... ორმოცი დღე გავიდა - უშენობის, ტკივილისა და ჯერ კიდევ დიდი გაუცნობიერებლობის... უშენოდ ქვეყანა დაპატარავდა... ძალიან გვტკივა უშენობა... ოცდაცხრა მაისის ტრაგიკულმა დღემ შენს ოჯახში დრო შეაჩერა. არ დაინდო უღმობელმა სიკვდილმა შენი და შენი ანგელოზი შვილიშვილის, პატარა მათეს ლამაზი სიცოცხლე...

მეხის გავარდნას ჰგავდა შენი უცარი გარდასახვა სხვა სამყაროში...

უარესად თბილი, მორიდებული და კეთილი იყავი მუდამ, უსაზღვრო ერთგულება იცოდი... ყველასათვის უდიდესი სიხარულისა და სიყვარულის მინიჭება შეგეძლო... უსაზღვროდ თესავდი სიკეთეს... ყველას ტკივილს განიცდიდი, ყველას დახმარებას


ცდილობდი... ახლა კი მონატრებას ჩვენთვის შენი სახელი ჰქვია... ყოველი დღე, ყოველი წუთი, ყოველი წამი შენი მონატრებითაა გაჟღერებული... უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრება შენი ღიმილი და სიბორო... ყველგან გვესმის შენი ფეხის ხმა და შენი ჩურჩული... ჩვენი თვალებიც ყველგან შენ დაგვეძებენ... გონებით ვიცით, რომ აღარ დაბრუნდები, მაგრამ გულით მაინც გვლით

გვწამს და გვაბნევენებს ის, რომ შენი სიყვარული და თანადგომა, რაც ამქვეყნად დააკლდა შენს ახლობელ და სიყვარულ ადამიანებს, უხილავად იმქვეყნიდანაც გაგრძელდება...

- ნ-უ დაიჯერებ, რომ აღარა ვარ, ი-ისფერ სიზმრებს შემოვრჩი მარტო... ნ-უ დაიჯერებ, რომ სადღაც ვგავარ ო-რ გზას შორის და... დარჩენას ვნატრობ... პ-ატარა სხვისი ანარეკლი ვარ, უ-თქმელი გრძობა, - ფიქრს მოყოლილი... ხ-ან ღიმილი ვარ, ხან კიდევ - სევდა, - ლ-ოდინად სულში შემოწოლილი... ო-ცნებად მექცა, რომ თუნდაც წამით ვ-იყო ბელურა... მოვაწყვე მინას... ი-ისფერ სივრცეს გამოვყვე ფრენით და... თქვენს გულებში დავიღო ბინა!..

შენ სულ ჩვენთან ხარ და ჩვენს გულებში აგრძელებ სიცოცხლეს. ჩვენთვის მარად უკვდავი ხარ, შენი სიკეთეებით და მოგონებებით... უფალს ვთხოვთ, რომ ნათელში დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი, სადაც ნეტარ არიან ღვთისგან რჩეულნი. ჩვენ კი ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი, სპეტაკი სულისთვის. შენი ოჯახი, ახლოაღმა

რამაზ ვაღერის ქე შანიძის მოსაგონარი



40 დღეა გექვს ყველგან: სახლში, ეზოში, ქუჩაში. 40 დღეა ვცდილობ შენი ხმა სხვების ხმებში გამოვარჩიო. 40 დღეა ვიძახი: - ვაი, შენს დედას, შვილო! - რა მძიმე სათქმელია ეს, როცა ამ სიტყვების შინაარსი მთელი სიმძიმით მაწვეს მხრებზე. მთის ქალი ვარ და ცხოვრების ყველა გამოწვევას ვაჟაკურად დაუხვდი. შენმა წასვლამ კი გამანადგურა. სიკვდილს ვერ მოვერიე, ვერ ჩავენაცლე. ქვეყნად ბევრი ტკივილი არსებობს, მაგრამ შეილის დაკრავით გამოწვეული ტკივილი ყველაზე მძიმე და მოუშუშებელია.

რატომ არ იღე ყურად მამის ვალერის გაფრთხილება: - შენ არ უნდა გამასწორო, შვილო, - რომ ვითხრა. რატომ გამოეცალე გვერდიდან შენს ძმას ზვიადს, მძიმეილეს გიორგისა და ერეკლეს, დედაშვილებს დათოსა და იმედას, ბიძებს მურადის, გოგის, კაკოს, ცოლის ძმებს ვიასა და დიძას. ახლა იმათ სუფრასთან ყოფნას ქეიფი აღარ ჰქვია. ყველა სადღეგრძელოში შენი უსაშველო მონატრება იგრძნობა. ჩემს დაზე დარეჯანზეც ვეჭვიანობ, მის მწუხარებას საზღვარი არ აქვს და მეონია ჩემზე უფრო უყვარხარ. მიკვირს როგორ არ ვიფლითები და ვიშლები ნაწილებად. შენს დედას რა მამძლებინებს უშენოდ. რა გამართლება აქვს ჩემს არსებობას. მიგვხვდი, რომ ისევ შენ ხარ ჩემი სიცოცხლის აზრი, შენ გადასული შენს შვილში-ჩემს ვაკუნაში, რომელიც შენს მონატრებულ მეუღლეს ნონასთან ერთად ნამდვილ ქართველ ვაჟაკად უნდა გავზარდოთ, ჩვენც ვიამაყოთ და შენი სახელიც უკვდავყოთ.

40 დღე 40 ჭრილობაა ჩემს სულზე. მტკივა, მაგრამ უნდა გავუძლო, რადგან ამას შენი სიკვდილი მავალდებულებს.

შენი დედა ეთერ მუჰამადიანი

ბანსხალეა

ძალადობა ოჯახში თანამედროვე საზოგადოების სერიოზული პრობლემა და ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, დეპრესიას, თვითშეფასების დაქვეითებას, შესაძლებელია ფატალური შედეგი. ხშირად მსხვერპლი ძალადობის პირისპირ მარტო რჩება და გამოსავალს ვერ ხედავს. თუმცა გამოსავალი ყოველთვის არსებობს. დახმარება შესაძლებელია..

გთავაზობთ პროფესიულ დახმარებას გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმისა და კრიზისის დაძლევაში.

ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში მოგვმართეთ : 599270679 551 153 517

პროექტს „ ქალზე ძალადობა დანაშაულია! „აზორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „გადარჩენილები მომავლისათვის“

პროექტის ფინანსური მხარდაჭერია ქალთა ფონდი საქართველოში

ქ. ოზურგეთის საბავშვო ბაღებში შემაჯამებელი გიმნაზი ჩატარდა



ქ. ოზურგეთის ბაღებში (NN1,2,3,4,6,7,8,9) 23 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით საგამოშვებო ღონისძიებები ჩატარდა. სიყვარულით და სითბოთი აღსავსე გულგებობით პატარებმა ცოდნა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევები გამოავლინეს. ღამაში ლექსებით, სიმღერებით თუ ცეკვებით მოხიბლეს სტუმრები და მადლობა გადაუხადეს აღმზრდელებს.

ღონისძიებებს ესწრებოდნენ: ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის წარმომადგენლები მარინა ჯაფარიძე, თემურ მოქია, ქეთი კუჭ-

უზიძე, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს პრესსამსახურის უფროსი ნინო კუკულაძე, ქ. ოზურგეთის საკრებულოს წევრი ნინო ტაბატაძე, განათლების თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე როზა გოგუაძე, ქ. ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ეკატერინე ნინიძე და ცენტრის თანამშრომლები.

ქ. ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის პრესსამსახური



ჯანო ჯიმეშვილი: „ხელოვნება, რომლის არ რეალიზება, მკვლარია“

„ჯანო კომპანის“ იმ ავტორივებს შორის, რომლებიც სასტიკი ხელოვნებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აონებენ მათთვის, მალე ალბათ ოზურგეთელებიც გამოჩნდებიან

თემურ მარშანიშვილი



„75“, ქართული ესტ-რადისა და კლასიკური მუსიკის ამომავალი ვარსკვლავები სეფაშვილი, ამირეჯიბი, ისაკაძე და სხვები.

1988 წლის ზაფხულში, მის ხელმძღვანელობით, ჩატარდა „იურმალა-88-ის“ ეგიდით გალა კონცერტები და შოუსაღამოები, ლეგასტუბოვას და სხვა ცნობილი სახეების მონაწილეობით.

ბატონი ჯანოს თაოსნობით დაარსდა დასავლეთ საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალი, რომელიც ექვს ქალაქში გაიმართა და ერთ-ერთში მიწვეული ჰყავდა ცნობილი ქართველი კინოხელოვანი, კინოკლასიკად აღიარებული ქართული მხატვრული ფილმის „ქეთო და კოტე“ რეჟისორი, ბატონი ვახტანგ ტაბლაიშვილი...

რაც შეეხება ცირკში მის მოღვაწეობას, როგორც თვითონ ამბობს, ამ სფეროში მისი წარმატება ივრო კოს დამსახურებაა, რომელიც 1981 წლიდან 1988 წლის ჩათვლით, მართავდა გასტროლებს საქართველოში.

90-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, იძულებული გახდა საშოვარზე წასულიყო უცხოეთში, მაგრამ მაინც ვერ ელეოდა თავის ქალაქს: „ყოველ ექვს თვეში ჩამოვდივარ და შეძლები-ისდაგვარად ვატარებდი ღონისძიებებს ფილარმონიაში. შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის მთელი ქუთაისი იგებდა ჩემს ჩამოსვლას. მაშინ ფილარმონიას ჰყავდა უბრწყინვალესი გენერალური დირექტორი ბორის მელაძე. სწორედ მასთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ, რომ ჩემი გაჩერება აქ არ იქნებოდა. ისე, უცხოეთიდანაც ვახერხებდი დახმარებას შეძლებისდაგვარად“.

1994 წელს, დედის გარდაცვალების გამო, ბატონი ჯანო იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო და ბატონების ოტია იოსელიანისა და თემურ შამიშვილის (ქალაქ ქუთაისის იმჟამინდელი მერი) თხოვნით, სათავეში ჩაგდომოდა ფილარმონიას, სადაც 1997 წლამდე საქმიანობდა.

როგორც თვითონ იხსენებს, საქართველოში შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა თავისუფლება შეუქმნა ხელოვნებაში მომუშავე პიროვნებს:

„ალარ იყო საჭირო შემოქმედი ადამიანების მოქცევა ადმინისტრაციული ერთეულის მმართველობაში და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ყველა შემოქმედს მისცემოდა დამოუკიდებელი საქმიანობის წარმოების

საშუალება. სწორედ ეს გახდა საცირკო ხელოვნებაში ჩემი განაწილების ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება. ამ პერიოდის დაიწყო ფიქრი, როგორ შეიძლება საცირკო ხელოვნების ახალ, დამოუკიდებელ საფეხურზე აყვანა.

ხელოვნება, რომელიც არ რეალიზდება, მკვლარია. ხელოვნების ნებისმიერი სფერო დამოკიდებულია ხალხის ყოფასა და მის სოციალურ პირობებზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღუბჯინი ცხოვრების დროს ველოდით, ვინ გამოგვიცხობს და ვინ მოგვაწოდებს საჭაპურს.

წლების მანძილზე ურთულეს პირობებში მოგვიხდა მუშაობა სცენებზე როგორც საქართველოში, ისე ჩვენს ახლომდებარე ქვეყნებში. ჩვენი გაზრდილი თაობები მართავდა წარმოდგენებს და, ჩემი აზრით, ამ დაუღალავი შრომით მივაღწიეთ შედეგს.

2006 წლის მაისში თურქეთში მივმგზავრებოდით ფესტივალზე. გზად გადავწყვიტეთ, ბათუმის მონატრებული ცირკი გვენახა. ველოდით განადგურებულს და ვიხილეთ განახლებული. იქვე დაიბადა იდეა, დაბრუნების შემდეგ, აუცილებლად გვეწარმოებინა საქმიანი მოლაპარაკება მეპატრონესთან. ასეც მოხდა და 2006 წლის 23 აგვისტოს, ანუ ცირკის შემოქმედებითი საქმიანობის იძულებითი შეჩერებიდან თითქმის 15 წლის შემდეგ, გაიმართა გრანდიოზული პრემიერა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, რუსეთის და საქართველოს საცირკო ხელოვნების ოსტატები“.

ბათუმის ცირკში, მეპატრონის ძალისხმევით, ბატონი ჯანო და მისი კოლეგები დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ. ყოველწლიურად მზადდება ორი პროგრამა – საზამთრო და საზაფხულო. აქვე მობრავი ცირკი და გასტროლებს აწყობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ოზურგეთში.

ბატონი ჯანო ჯიმეშვილი ემადლიერება ქალაქის მერიასა და კულტურისა და დასვენების პარკის ხელმძღვანელობას – გულთბილი მიღებისა და გულისხმიერებისთვის, მაყურებელს - აპლოდისმენტებისათვის.

„მადლობელი ვარ ქალაქ ოზურგეთის ხელმძღვანელობის, პირად-ად ქალაქის მერის ბეგლარ სიორიძისა ასეთი გულთბილი მიღები-სათვის, მადლობას ვუხდით პარკის დირექტორს ქალბატონ ინგა დუმბაძეს, რომელმაც თითქმის პროდიუსერული საქმიანობა

გავიწვია, მადლობა მაყურებელს, რომელიც უხვად გვყავდა და აპლოდისმენტებით ხვდებოდა ჩვენს ყოველ ნომერს.

ვიმლოვნებთ, მომავალში ურთიერთობის სხვა მხარე ჩამოვალბდება, უკეთეს პროექტსაც წარმოვადგენთ“.

ბატონი ჯანო ამბობს, რომ მიუხედავად მეპატრონის დიდ მცდელობისა, საცირკო ხელოვნება თავისი შემოქმედების ექსპლუატაციით, ჯერჯერობით თავს ვერ ინახავს. შემოსავლები ცხოველების მოვლა-პატრონობასა და მივლინების ხარჯებსაც ვერ ფარავს. შიშველი ხელებით იბრძვიან ჟანრის გადასარჩენად. გამოგვიტყდა, რომ ხშირად ეხმარება თავისი ქალიშვილი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, იქ დაქორწინდა და ჰყავს ორი შვილი, უფროსი თითხმეტი წლისაა, უმცროსი – ორისა.

მიუხედავად მძიმე ფინანსური პირობებისა, „ჯანო კომპანი“ შეძლებისდაგვარად ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას, უფასოდ ემსახურება სოციალურად დაუცველ და შშმ ბავშვებს. თითო გასტროლზე მინიმუმ 100 ბავშვი სარგებლობს ამ სერვისით.

თითქოს დაუფერებელია, რომ „ჯანო კომპანის“, თავისი მოღვაწეობის მანძილზე, 11 თაობა ჰყავს აღზრდილი და მისი აღზრდილები დღეს მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც თავიანთი საცირკო წარმოდგენებით აოცებენ მაყურებელს. მათ შორის ალბათ მალე ოზურგეთელებიც გამოჩნდებიან. საქმე ისაა, რომ „ჯანო კომპანი“ ოზურგეთში გასტროლისას მიიღო გადაწყვეტილება საცირკო დასში მოსწავლეებად აიყვანოს ოზურგეთში მცხოვრები ძმები გიორგი და გოგი კოტუხოვები. ისინი დაუფულებიან საცირკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრს, სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას 100 ლარის ოდენობით.

და ბოლოს, 11-12 ივლისის „ჯანო კომპანი“ გასტროლს გამართავს თურქეთში, სტამბოლთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ ქალაქში. ბატონი ჯანოს თქმით, „მიზერულ ჰონორარზეა საუბარი, მაგრამ ალბათ დიდი ჰონორარის დროც დადგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს მაღალ საცირკო ხელოვნებას აღიარებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მაყურებელი“.

7 დღის ამინდის პროგნოზი

	წვიმა +17+23		წვიმა +18+24		მზა, ღრუბლი +21+28		მზა, ღრუბლი +21+29		მზა, ღრუბლი +17+26		წვიმა +15+24	
6 ივლისი ორშაბათი		7 ივლისი სამშაბათი		8 ივლისი ოთხშაბათი		9 ივლისი ხუთშაბათი		10 ივლისი პარასკევი		11 ივლისი შაბათი		12 ივლისი კვირა